- **პირველი იარუსი** (1) დანიშნულება ზედაპირული ჩამონადენი წყლის რეგულირება, რათა ის დასაშვებ დროზე მეტ ხანს (დატბორვის და ნიადაგის დაჭაობებისას) არ შეყოვნდეს;
- **მეორე იარუსი** – ელიფსისებრი პოლიეთილენის პერფორირებული კონსტრუქცია (2), რომელიც უზრუნველყოფს ჭარბი ტენის შთანთქმას ნიადაგიდან და მის ტრანსფორმაციას წყლის ნაკადებში;
- **მესამე იარუსი** – წყალმიმღები მიღი (3), რომელიც უზრუნველყოფს გამტარ არხებში (მიღები 5) წყლის მიწოდებას, გრუნტის წყლის საჭირო დონისა და ტენტევადობის რეჟიმის შენარჩუნებას.

დრენებს შორის მანძილი, აგრეთვე ელიფსისებრი პერფორირებული კვანძის გეომეტრიულ ზომები გამოიანგარიშება ისე, რომ დაშრობის ნორმა უმოკლეს დროში ეფექტური გახდეს.




ნახ. 1. კომბინირებული დრენაჟის განივავეთი

დრენებს შორის მანძილის დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ამასთან იგი დამოკიდებულია მრავალ რთულ ფაქტორთან, როგორიცაა მოსული ნალექების ინტენსიურობა, გრუნტის წყლების სიმაღლე, სანიადაგო და სხვა ძირითადი ფაქტორები [2,4].

დრენებს შორის მანძილი (b) ისე უნდა შეირჩეს, რომ მოგვცეს გრუნტის დონის ეფექტური დაწევა დროის მოცემულ მომენტში და უნდა შეესაბამებოდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალჭაეროვანი რეჟიმის ოპტიმალურ მოთხოვნებს.

ვიცით რა გრუნტის წყლის სიდრმე, ასევე სანიადაგო, პიდროგეოლოგიური, კლიმატური პირობები, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალჭაეროვანი რეჟიმის რეგულირება სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის გამოყენებით [1].

მეორე ნახაზზე მოცემულია დრენებს შორის მანძილის დადგენის საანგარიშო სქემა.



ნახ. 2. დრენებს შორის მანძილის საანგარიშო სქემა

თეორიული და საველე კვლევების ანალიზით მიღებული დამოკიდებულება, საანგარიშო სქემის (ნახ. 2) გათვალისწინებით, შეიძლება გარდავქმნათ [2], რომელიც შემდეგ მიიღებს სახეს:

$$Q = \frac{2KHS}{\ln \frac{b}{2\eta r_0}} , \text{ ს} \theta^3/\text{მ} \theta \quad (1)$$

გავამარტივოთ (1) დამოკიდებულება:

$$Q(\ln b - \ln 2\eta r_0) = 2KHS . \quad (2)$$

(2) დამოკიდებულებიდან განვსაზღვროთ დრენებს შორის მანძილი (b), მივიღებთ:

$$\ln b = \frac{2KHS}{Q} + \ln 2\eta r_0 , \quad (3)$$

ქ.ი.

$$\ln b = \frac{2KHS}{Q} + \ln 2\eta r_0 . \quad (4)$$

$$b = \exp \left(\frac{2KHS}{Q} + \ln 2\eta r_0 \right) . \quad (5)$$

დრენებს შორის მანძილის (b) დასადგენად შემდეგნაირად ვიქცევით: ოუ სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ათვისება ხდება სამიარუსიანი კომბინირებული სადრენაჟო სისტემის მოწყობით, მაშინ დრენებს შორის მანძილს გამოვთვლით (5) ფორმულით, როდესაც მრავალწლიანი ნარგავების ფართობზე აუცილებელია სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის მოწყობა, მაშინ სადრენაჟო სისტემას ვამონტაჟებთ მრავალწლიანი ნარგავების რიგის მწკრივთა შორის შუაში, ასევე შესაძლებელია მრავალწლიანი ნარგავების რიგის მწკრივთა შორის სადრენაჟო სისტემის მოწყობა ერთზე მეტი სადრენაჟო ხაზით.

2. სადრენაჟო მილის ხვრეტების გაანგარიშება

სადრენაჟო მილის ნახვრეტის ფართობი (ნახ. 3) გამოითვლება ფორმულით:

$$\omega = \frac{q_{\max}}{\mu \sqrt{2gh}} = \frac{0.00004}{0.61 \sqrt{2 \cdot 9.81 \cdot 0.675}} = 0.00002 , \quad (6)$$

სადაც q_{\max} დრენაჟის ერთ გრძივ მეტრზე მაქსიმალური მოდინებაა, $q_{\max} = 0,04 \text{ ლ}/\text{მ}^3 = 0,00004 \text{ მ}^3/\text{მ} \theta$; μ – ხარჯის კოეფიციენტი, მრგვალი ნახვრეტებისთვის მიიღება 0,61; h – წყალმიმდები ნახვრეტების ზედაპირზე საშუალო დაწნევა, $h = 3D = 3 \cdot 0,225 = 0,675 \text{ მ}$. D – სადრენაჟო მილის გარე დიამეტრი (225 მმ).

ამ ფართობის შესაბამისი ნახვრეტის დიამეტრი 6 მმ ტოლია.



ნახ. 3. სადრენაჟო მილის ნახვრეტების სქემა

მილსადენის ზედაპირის ფართობი 1 გრძივ მეტრზე ტოლია:

$$F = \pi D = 3,14 \cdot 0,225 = 0.7065 \text{ } \text{მ}^2 = 706500 \text{ } \text{მმ}^2. \quad (7)$$

ნახვრეტების მიერ დაკავებული ფართობი აიღება 2 – 5%-ის ფარგლებში. მი-
ვიღოთ მინიმალური რაოდენობა – 2%, მაშინ ნახვრეტების ჯამური ფართობი ტო-
ლია: $706500 \times 0,002 = 14130 \text{ } \text{მმ}^2$. პერიმეტრზე ნახვრეტების რაოდენობა იქნება:
 $14130 \text{ } \text{მმ}^2 : 18,28\pi^2 = 766 \approx 770 \text{ } \text{ცალი}$.

3. დასკვნა

დამუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, სამიარუსიან კომბინირებულ
სადრენაჟო სისტემის დრენებს შორის სავალე ექსპერიმენტების განხორციელების
მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამტრედიის რაიონის სოფელ
დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის საცდელ ბაზაზე მოეწყო საკვლევი პოლი-
გონი, რომელზედაც მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი დაკვირვებები.

ლიტერატურა

1. გ. გაგარდაშვილი. კომბინირებული დრენაჟი. საქართველოს პატენტი. № 3573 B, ბიულ.
№ 5(167) ობილისი, 2005, გვ. 12.
2. Гавардашвили Г.В., Модебадзе Н.Л., Гавардашвили Н.Г. Новая конструкция комбиниро-

- ванного трехъярусного дренажа и расчет водопропускной способности. // Инженерная экология. Москва, № 3, 2007, с. 55 - 61.
3. Гавардашвили Г.В., Собота Ю. Обеспечение экологической безопасности сельскохозяйственных угодий на Колхидской низменности для улучшения социально-экологических условий местного населения // Сборник трудов I Международной конференции «Водные экосистемы Колхидской низменности – охрана и рациональное использование». Тбилиси – Поти, 2013 г., с. 108-111.
3. Gavardashvili G.V., Guguchia M. - The Research of the Combine Three Tier Drainage. International scientific-practical conference use of reclaimed land - Current State and Prospects of Development reclamative farming. Tver, RUSSIA, 2015 г, с 196-201.
4. Мирцхулава Ц. Е. Надежность систем осушения. Москва, 1985.-239 с.
5. ა. მოწვევლის. კულტურგექნიკა და აგრომელიორაცია კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე. თბილისი, 1986.- 184 გვ.

შაპ 621. 317. 36

კატასტროფული ტალღების მასიმალური ამპლიტუდის განსაზღვრა “ლოკალური არასტაციონარულობის” მეთოდის გამოყენებით

ლ. ლოლელიანი, ე. ხატიაშვილი, ზ. ასკურავა, გ. მჭედლიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია წყალსატევებში ტალღების წარმოქმნის პროცესი მის ლოკალურ არეში სელებისა და ჩამოქცევა-მეწყრული ქანების დარტყმითი ზემოქმედებისას. ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება დიდი ამპლიტუდის მქონე კატასტროფული ტალღები.

კვლევის თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ლოკალური არასტაციონარულობის თეორია, რომელიც ეყრდნობა არასტაციონარული პიდრავლიკის ზოგად განტოლებას სენ-ვენან-ბუსინესკის ფორმით.

აქტუალური სიდრმის ტალღური შემფოთების განსაზღვრისას ვიყენებთ მეორე რიგის წრფივ, არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებას.

ტალღის მაქსიმალური ამპლიტუდის გამოსათვლელად მიღებულია დამოკიდებულება წყალსატევებში შეჭრილი სხეულის გეომეტრიული ზომების, მისი მექანიკური და დინამიკური მახასიათებლების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: კატასტროფული ტალღები; ლოკალური; არასტაციონარული; ტალღის ამპლიტუდა; პიდრავლიკური ნახტომი.

1. შესავალი

განიხილება ტალღების წარმოქმნის პროცესი წყალსატევების, ლოკალურ არეში სელების და ჩამოქცევა-მეწყრული ქანების მასების დარტყმითი ზემოქმედებისას. ამრიგად, წყალსატევის ლოკალურ არეში დაიკვირვება „სუფთა იმპულსური დარტყმის ეფექტი“, რომლის დროსაც წყალსატევების ზედაპირზე წარმოიქმნება დიდი ამპლიტუდის მქონე ტალღები.

კვლევის თეორიულ საფუძვლად გამოყენებულია ე.წ. „ლოკალური არასტაციონარულობის“ თეორია, რომელიც შემუშავებულია „თბილწყალგეოში“ აკად. თ. ვოინიჩ-სიახოუენცის მიერ, პიდრავლიკური მოვლენების (პიდრავლიკური ნახტომი, მასზე ზედდებული არამდგრადობის ტალღები და სხვა) შესწავლისას წარმოშობილი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამოცანის გადაწყვეტისას მიიღება შემდეგი სახის დაშვებები:

- ა) დარტყმის პირველ ეტაპზე ხდება პირველადი ტალღის წარკვეული ფენის დეფორმაციის ხარჯზე;
- ბ) შემდგომ ხდება სხეულის წყალში სრული შეჭრა მისი გაჩერებით ფსკერზე, ინერციის და წინადობის ძალების თანაფარდობის გათვალისწინებით;
- გ) სითხეში სხეულის იმპულსური ზემოქმედებისას წარმოქმნილი ტალღების სიდიდეზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს სხეულის (ტანის) მოძრაობის სიჩქარე დარტყმის მომენტში, მისი ფორმა, ზომები, სიმკვრივე, ერთგვაროვნება და შეჭრის კუთხე (შეტევის კუთხე);
- დ) წყალსატევებში სელური სხეულების შეჭრისას განისაზღვრება მაქსიმალური ტალღების სიმაღლე;
- ე) დარტყმისას აღიძვრება ტურბულენტური ხახუნის ძალები, რომლებსაც უგულებელვყოფთ.

2. მირითადი ნაწილი

დასმული ამოცანის განხილვისას განისაზღვრება მყისი შეშფოთების მაქსიმალური ამპლიტუდები ლოკალური არის სასაზღვრო კვეთებში, მოცემული იმპულსის შემთხვევაში. ამასთან, მოცემულად ითვლება შეშფოთების მახასიათებლები საწყის სასაზღვრო კვეთში. ამ მონაცემებით აუცილებელია განისაზღვროს ანალოგიური მახასიათებლები იმავე არის მეორე საზღვარზე – კვეთში, სადაც მაქსიმალური ტალღა დაიკვირვება.

ლოკალური არასტაციონარულობის თეორია ეყრდნობა არასტაციონარული პიდრავლიკის ზოგად, ერთგანზომილებიან განტოლებებს, აღებულს სენ-ვენან-ბუსინესის ფორმით:

$$Q_\zeta = Q_\eta - \frac{\partial W \bar{l}}{\partial t}. \quad (1)$$

ეს არის უწყვეტობის განტოლება,

ხოლო დინამიკის განტოლებაა

$$\frac{x_c}{g} \frac{d^2 \Omega_0}{dt^2} + \Pi_\zeta = \Pi_\eta \quad (2)$$

სადაც ζ და η მყისი შემფოთების ორდინატებია; \bar{l} – ლოკალური არის გასაშუალოებული გრძივი მახასიათებელი; Q_ζ და Q_η – მყისი ხარჯები სასაზღვრო კვეთებში; $W\bar{e}$ – ლოკალური არის მყისი მოცულობა; x_c – მანძილი $W\bar{e}$ მოცულობის სიმძიმის ცენტრიდან ერთ-ერთ სასაზღვრო კვეთამდე; Π_η და Π_ζ – სრული იმპულსების მყისი წამური მნიშვნელობები შესაბამის კვეთებში.

წყალსაცავში სხვადასხვა სახის სხეულების შეჭრის შედეგად წარმოქმნილი ტალღების შესწავლისას მნიშვნელოვანია ტალღების ამპლიტუდა, რომელიც აღძრული ნაკადის აქტუალური და გასაშუალოებული სიმაღლეების სხვაობის ტოლია. ამიტომ, (1) და (2) განტოლებები უნდა წარმოვადგინოთ იმ ფორმით, რომელიც ასახავს ნაკადის სიღრმის ცვლილებას დროის მიხედვით. თუ ამ დროს გავითვალისწინებთ, რომ ტალღური პროფილი სინუსოიდურია, მაშინ უწყვეტობის განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{2n\bar{h}_2}{\Pi} \frac{dh_2}{dt} = q_2 - q_1, \quad (3)$$

სადაც \bar{h}_2 არის t დროისაგან დამოუკიდებელი სიღრმე სასაზღვრო კვეთში სტაციორარული დინების პირობებში; q_1 და q_2 – t დროზე დამოკიდებული ხვედრითი ხარჯები ლოკალური არის კვეთებში; n – პარამეტრი, ლოკალური არის გრძივი ზომის მახასიათებელი არასტაციონარული დინებისას.

ანალოგიურად შეიძლება ჩაიწეროს (2) დინამიკის განტოლების პირველი წევრი

$$\frac{x_c}{g} \frac{d^2 \Omega_0}{dt^2} = \beta \beta_c \frac{nh_2 \bar{l}}{g} \frac{d^2 h_2}{dt^2}, \quad (4)$$

სადაც x_c გამოსახულია აქტუალური (მყისი) სიღრმის მნიშვნელობით

$$x_c = \beta_c h_2 n. \quad (5)$$

Ω_0 არის შეშფოთებული ლოკალური არის გრძივი პროფილის ფართობი; β – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტალღის გრძივ ფორმას; β_c – იგივე x_c სიგრძის შემთხვევაში.

მყისი სრული იმპულსების წამური მნიშვნელობები ლოკალური არის შესაბამის სასაზღვრო კვეთებში სიგანის ერთეულისათვის იქნება:

$$\Pi_\zeta = \frac{\alpha_{02} q_2^2}{gh_2} + \frac{h_2^2}{2}; \quad (6)$$

$$\Pi_\eta = \frac{\alpha_{01} q_1^2}{gh_1} + \frac{h_1^2}{2}. \quad (7)$$

თუ ჩავთვლით $\alpha_{02} = \alpha_{01} = 1$, როგორც ეს მიღებულია პიდრაგლიკური ნახტომის თეორიაში, მაშინ

$$\beta\beta_c \frac{n h_2 \bar{l}}{g} \frac{d^2 h_2}{dt^2} + \frac{h_2^2}{2} + \frac{q_2^2}{gh_2} = \frac{h_1^2}{2} + \frac{h^2}{gh_1}. \quad (8)$$

თუ შესასწავლ პროცესს წარმოვადგენთ ფსკერული პიდრაგლიკური ნახტომის სახით, მაშინ $\beta_c = \frac{5}{8}$ და $\beta = \frac{2}{3}$.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მივიღებთ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას, რომელიც აღწერს განსახილველ მოვლენას ლოკალური არასტაციონარულ უბანზე:

$$\frac{10n}{24} \rho_2 \bar{h}_2 \bar{l} \frac{d^2 h_2}{dt^2} + \gamma_2 \frac{h_2^2}{2} + \rho_2 \frac{q_2^2}{h_2} = \rho_1 \frac{q_1^2}{h_1} + \gamma_1 \frac{h_1^2}{2}; \quad (9)$$

$$\frac{2n}{\Pi} \bar{h}_2 \bar{\rho} \frac{dh_2}{dt} = \rho_2 q_2 - \rho_1 q_1. \quad (10)$$

(9) – (10) ფორმულები ამონასნების სტაციონარული პირობებისათვის გვაძლევს ცნობილ დამოკიდებულებებს, საიდანაც განსაზღვრავენ ძირითად პიდრაგლიკურ მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირს იმ კვეთებში, რომლებიც დამყარებული მოძრაობის ლოკალურ არეს შემოსაზღვრავს დიდი გრძივი წნევის გრადიენტით. გამოვიყენოთ (7) – (9) განტოლებები წყალსაცავში ტალღის მაქსიმალური სიმაღლის განსასაზღვრავად, სელური ნაკადის შეჭრისას.

სელური სხეულის დარტყმითი ზემოქმედება, რომელიც მოძრაობს ცალკეული ტალღების ან ტალღების მიმდევრობითი სერიის სახით საკმაოდ მაღალი სიჩქარით,

შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც იმპულსის ზემოქმედება ისეთ სისტემაზე, რომლის დინამიკა აღწერილია (7)–(9) განტოლებებით.

ტალღური შემაღლების სიდიდე \bar{h}_2 წარმოვადგინოთ ასე: $\zeta = h_2 - \bar{h}_2$. ζ შემფოთების სიმაღლეა. (7)–(9) განტოლებათა გაწრფივება გვაძლევს:

$$\frac{10n\bar{h}_2}{24}\rho_2\frac{d^2\zeta}{dt^2} + \left(1 - \frac{q^2}{gh_2^3}\right)\gamma_2\bar{h}_2\zeta + \gamma_2\frac{\bar{h}_2}{2} + \rho_2\frac{q_2^2}{h_2} = \rho_1\frac{q_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{h_1^2}{2}. \quad (11)$$

რადგან დინების კინეტიკურობის ხარისხი ლოკალური არასტაციონარულობის არის დასაწყისში გაცილებით მეტია, ვიდრე ბოლოში, ამიტომ

$$\frac{q_2^2}{gh_2^3} \ll 1 \quad (12)$$

და

$$\gamma_2\frac{\bar{h}_2}{2} \approx \rho_1\frac{\bar{q}_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{\bar{h}_1^2}{2}. \quad (13)$$

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, რომლებიც ტიპურია ლოკალური არასტაციონარულობის ამოცანებისათვის, გვექნება:

$$\frac{10n}{24}\rho_2\bar{h}_2\bar{l}\frac{d^2h_2}{dt^2} + \gamma_2\bar{h}_2\zeta = \left(\rho_1\frac{q_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{h_1^2}{2}\right) - \left(\rho_1\frac{\bar{q}_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{\bar{h}_1^2}{2}\right). \quad (14)$$

(14) განტოლების მარჯვენა მხარე ჭარბი მოძრაობის რაოდენობის წამური სიდიდეა, რომელიც შეაქვს წყალსაცავში სელურ სხეულს, ამიტომ

$$\left(\rho_1\frac{q_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{h_1^2}{2}\right) - \left(\rho_1\frac{\bar{q}_1^2}{h_1} + \gamma_1\frac{\bar{h}_1^2}{2}\right) = \rho_c\frac{W_c\bar{c}}{b\tau^*} = \rho_c\frac{W_c\bar{c}^2}{2l^*b}, \quad (15)$$

სადაც $\rho_c = \rho_1$ სელური სხეულის სიმკვრივეა; W_c – სელის მოცულობა; \bar{c} – სელის მოძრაობის საშუალო სიჩქარე წყალსაცავში ტალღების გენერაციის საზღვრებში; τ^* – დრო წყალსაცავში სელის შესვლის მომენტიდან მის გაჩერებამდე; b – წყალსაცავის სიგანე სელის შესვლის ადგილში; l^* – მანძილი, რომელსაც გაიგლის სელის სხეული წყალში;

თუ W მოცულობას მიახლოებით წარმოვადგენთ სამკუთხა პარაბოლური პრიზმის სახით – $W_c = \frac{2}{3}h_c l_c b_c$, სადაც h_c, l_c, b_c , სელური სხეულის სიმაღლე, სიგრძე და სიგანეა და მივიღებთ $\rho_2 = \rho$. საბოლოოდ, სელური სხეულის დინამიკური ზემოქმედების ზოგადი განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{10n}{24} \frac{\bar{h}_2 \bar{l}}{g} \frac{d^2 \zeta}{dt^2} + \bar{h}_2 \zeta = \frac{2}{3} \frac{\rho_c}{\rho} \frac{h_c l_c b_c}{bl^*} \frac{\bar{c}^2}{g}. \quad (16)$$

ამრიგად, მივედით წრფივი არაერთგვაროვანი მეორე რიგის დიფერენციალურ განტოლებამდე, აქტუალური სიღრმის ტალღური შეშფოთებების განსასაზღვრავად. ამ განტოლების ამონახსნი, როგორც არაერთგვაროვანი მეორე რიგის დიფერენციალური განტოლების ამონახსნი, თავისუფლების ერთი ხარისხით იძულებითი რხევებისას, ძალური ზემოქმედებით შეშფოთებისას, ჩაიწერება სახით:

$$\zeta = \frac{2}{3} \beta' \pi \frac{\rho_c}{\rho} \frac{l_c h_c}{bl^*} \frac{\bar{c}^2}{g \bar{h}_2} \sin \sqrt{\frac{24g}{10n \bar{l}}} . \quad (17)$$

3. დასკვნა

(17) განტოლების ამონახსნის შესაბამისი რეზონანსული ამპლიტუდა სელის მიერ გენერირებული ტალღისა განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$\alpha = \frac{2}{3} \beta' \pi \frac{\rho_c}{\rho} \frac{l_c h_c b_c}{bl^*} \frac{\bar{c}^2}{g \bar{h}_2} . \quad (18)$$

ამრიგად, (18) დამოკიდებულებით შესაძლებელია განისაზღვროს წარმოქმნილი ტალღის მაქსიმალური ამპლიტუდა, როდესაც წყალსაცავში ხდება სელური სხეულის შეჭრა. ტალღის ამპლიტუდა განისაზღვრება წყალსატევში შეჭრილი სხეულის გეომეტრიული ზომების, მისი მექანიკური და დინამიკური მახასიათებლების და წყალსაცავის ლოკალური არის მახასიათებლებით.

დამოკიდებულება, რომელიც წყალსაცავის ლოკალურ არეში დინამიკურ ზემოქმედებას აღწერს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყალსატევში ზვავების შეჭრის შემთხვევაშიც.

შაპ 628.3

სანიაღვრე წყალარინების პოლექტორის სიღიღის შეფასება

6. ნაცვლიშვილი, მ. ნაცვლიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია სანიაღვრე წყლების აცილებისათვის საჭირო კოლექტორების (გვირაბების) ზომების (გამტარუნარიანობის) შეფასების საკითხი ქ. თბილისში ძღინიარე ვერეზე, 2015 წლის 13–14 ივნისის წყალდიდობის მახასიათებლების მაგალითზე. განხსაზღვრულია წვიმის საანგარიშო ხარჯის სიღიღე და გაანალიზებულია არსებული გვირაბის გამტარუნარიანობის ხარისხი წყლის დინების სხვადასხვა სიჩქარის დროს. რეკომენდებულია გვირაბის რეკონსტრუქცია მიხი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: წვიმის ინტენსიურობა; წყალშემკრები აუზი; ერთჯერადი გადავხების პერიოდი; საანგარიშო ხარჯი; გამტარუნარიანობა.

1. შესავალი

მთაგორიანი ქვეყნების დასახლებული ადგილებიდან ატმოსფერული ნალექების აცილება აქტუალური საკითხია, ვინაიდან პროცესი როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ ზემოქმედებასა და ზარალთანაა დაკავშირებული. საქართველოში ატმოსფერული ნალექების გაყვანა დაკავშირებულია დიდი თუ მცირე მდინარეების მახასიათებლების ცვალებადობასთან, რაც თავისთავად საკითხის უფრო მეტად გამწვავებას იწვევს, ვინაიდან ატმოსფერული და მდინარის წყლებიც ტერიტორიან, უმეტეს შემთხვევებში, ჰიდროტექნიკური ნაგებობების (მილსადენების, გვირაბების და სხვა) მეშვეობით გაიყვანება. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია ნაგებობათა საანგარიშო პარამეტრებისა და ზომების (გამტარუნარიანობის) საკმარისი (დასაშვები) სიზუსტით დადგენა.

2. მირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ ატმოსფერული ნალექების (ძირითადად წვიმების) ინტენსიურობა, ხანგრძლივობა და წყალშემკრები ფართობის სიდიდე განსაზღვრავს მოსული წყლის რაოდენობას და ხასიათდება მკვეთრი უთანაბრობით. საქართველოს დედაქალაქში სტატისტიკური მონაცემებით, წლების განმავლობაში მოსული წვიმების ინტენსიურობის სიდიდე (მმ/წთ) 0,01-დან 3,1-მდე მერყეობს. ამ სიდიდეებით მხოლოდ ზოგადად შეიძლება შეფასდეს წყლის საანგარიშო მოცულობა, წყალშემკრები ფართობების გათვალისწინებით. კონკრეტული ტერიტორიების განხილვისას სარგებლობები სამშენებლო ნორმებსა და წესებში [1] მოყვანილი მითითებებით, რომელთა მიხედვით წვიმის წყლის ხარჯი q (ლ/წთ) განისაზღვრება ზღვრული ინტენსიურობის მეთოდით შემდეგი ფორმულით:

$$q = \frac{Z_{\text{საშ}} \times A^{1,2} \times F}{t_{\text{სანგ}}^{1,2n-0,1}},$$

სადაც $Z_{\text{საშ}}$ ჩადინების აუზის ზედაპირის მახასიათებელი კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობაა. იგი განისაზღვრება, როგორც ზედაპირის მახასიათებელი Z კოეფიციენტის საშუალო შეწონილი სიდიდე (მაგალითისათვის გრუნტის ზედაპირისათვის $Z=0,064$, გაზონებისათვის – 0,038 და ა. შ.). ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თუ პარამეტრი 1100 აჭარბებს, მაშინ Z წყალგაუმტარი ზედაპირებისთვის მიღება 0,24-ის ტოლი; A , ლ – პარამეტრები, რომლებიც განისაზღვრება წვიმასაზომის მრავალწლიანი ჩანაწერების დამუშავების შედეგად; $t_{\text{სანგ}}$ – წვიმის საანგარიშო ხანგრძლივობა წუთებში (ზედაპირული კონცენტრაციის დრო 5–10 წთ მიღება). გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშში მითითებულია, რომ წვიმა გრძელდებოდა სავარაუდო 3–4 საათი ანუ 180–240 წთ; F – ჩადინების საანგარიშო ფართობი, ჰა (სააგენტოს ანგარიშის მიხედვით არის 19400 ჰა).

მონაცემების უქონლობის შემთხვევაში დასაშვებია A პარამეტრი განისაზღვროს ფორმულით:

$$A = q_{20} \times 20^n \left(1 + \frac{\lg P}{\lg m}\right)^r,$$

სადაც q_{20} წვიმის ინტენსიურობაა, ლ/წთ 1 ჰა-დან, რომლის ხანგრძლივობა 20 წთ-ია, $P=1$ წლის ერთჯერადი გადავსების პერიოდში განისაზღვრება q_{20} წვიმის ინტენსიუ-

რობის სიდიდის რუკიდან (თბილისისათვის 100 ლ/წმ-ის ტოლია); n – ხარისხის მაჩვენებელი და მდ. მტკვრის აუზის განხილვისას 0,63-ის ტოლი მიიღება, როცა $P>1$ და 0,52-ის ტოლი, როცა $P<1$; m – წვიმების საშუალო რაოდენობა წელიწადში (ნორმების მიხედვით თბილიში 90-ის ტოლია); γ – ხარისხის მაჩვენებელი მიიღება 1,33-ის ტოლი; P – წვიმის საანგარიშო ინტენსიურობაზე ერთჯერადი გადავსების (გადაჭარბების) პერიოდი, კოლექტორების მოწყობის არახელსაყრელი პირობებში მიიღება 5–10-ის ტოლი, როცა $q_{20}>80$ -ზე.

აღნიშნული სიდიდების გათვალისწინებით, თბილისისათვის: პარამეტრი $A = 1144$, ხოლო საანგარიშო ხარჯი $q=597,95 - 722,26 \text{ მ}^3/\text{წ}$.

თუ დავეყრდნობით გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებს, 2015 წლის 13–14 ივნისს დ. ვერეს ხეობაში 1 ჰა-ზე მოსული ნალექების რაოდენობა იყო 41 მმ/წთ (ზოგიერთი წყარო ასახელებს 100 მმ/წთ) ანუ 6831 ლ/წმ. თუ წყალშემკრები ფართობი 19400 ჰექტარია, ხარჯი იქნება 132566,7 მ³/წმ; ზედაპირის საფარვლის გათვალისწინებით კი საანგარიშო რაოდენობა 132566,7 * 0,24 = 31816 მ³/წმ ტოლი იქნება, რაც წარმოუდგენლად დიდი და არარეალური სიდიდეა. უფრო რეალურია, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა მიხედვით, ზემოთ მიღებული საანგარიშო ხარჯების სიდიდები.

სტატისტიკური და ისტორიული მონაცემებით, 1924 წლის 12 ივნისს მდ. ვერეს ხეობაში დილის 8 საათზე, 1-საათიანი წვიმის დროს, დვარცოფულმა ნიაღვარმა გაიტაცა გლეხები ხარუმიანად და მდ. მტკვარში შეიტანა. 1940 წ. 10 მაისს თბილისის ყველა მდინარეში წყალმოვარდნები იყო. 1960 წელს დაიტბორა ზოოპარკის ტერიტორია. მაშინდელი გათვლებით ხარჯი შეადგენდა $Q=259 \text{ მ}^3/\text{წმ}$. წყალმოვარდნა იყო 1972 წელს, 1980 წლის 13 მაისს, დიდი წვიმის გამო, წყნეთში გაირდვა არსებული ხელოვნური წყალსაცავის ჯებირი. ასევე, დაფიქსირებულია 1999 წ. 28 აგვისტოს და 2002 წ. 15 ოქტომბრის, 2015 წლის 3 და 13–14 ივნისის წყალდიდობები (მეტეოსადგურით აღირიცხა 41 მმ ნალექი, მაღალმთიან ზონაში – 100 მმ). უხვი ატმოსფერული ნალექები ბოლო 133 წლის განმავლობაში 52-ჯერ მოვიდა, რაც სამომავლოდ დამაფიქრებელი მახასიათებელი სიდიდეა.

ქალაქის ფარგლებში მდ. ვერეს ნაკადი პირველად ხვდება 1958 წელს აშენებულ გვირაბში, რომელიც კვეთს ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზას. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებში გვირაბის ზომები არ არის მითითებული

და არაა შეფასებული მისი გამტარუნარიანობა. ოუმცა სავარაუდოდ მიღებულია საანგარიშო ხარჯების სიდიდეები: $Q=220 \text{ м}^3/\text{წ}$ და $480 \text{ м}^3/\text{წ}$ ან $320 \text{ м}^3/\text{წ}$ და $720 \text{ м}^3/\text{წ}$. შესაბამისი წყლის დინების პირობითი დასაშვები სიჩქარეებია 4 და 6 $\text{м}/\text{წ}$, როცა გვირაბის განივავეთის ფართობი 60 м^2 -ია, გამტარუნარიანობა, ნაკადის მაქსიმალური სიჩქარის ($4-6 \text{ м}/\text{წ}$) დროს, $240-360 \text{ м}^3/\text{წ}$.

3. დასპანა

გამოთვლილი საანგარიშო ხარჯის სიდიდე ($598-722 \text{ м}^3/\text{წ}$) ორჯერ და მეტად აჭარბებს გვირაბის მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, ამასთან დამატებით გათვალისწინებული არ არის თავად მდ. ვერეს ჩამონატანი და ხარჯი. ბუნებრივია, რომ მდინარე ვერეს ნაკადი, რომელიც მოხვდა ვაკუსაბურთალოს გზის გადაკვეთაზე არსებულ გვირაბში, ამ უკანასკნელის გამტარუნარიანობის სიმცირის გამო, შეიტბორებოდა და წარმოქმნიდა საშიშროებას, რაც სამწუხაროდ დადასტურდა კიდეც. გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით საჭიროა გვირაბის რეკონსტრუქცია.

ლიტერატურა

1. СНиП 02.04.03-85 Канализация. Наружные сети и сооружения. М.: ЦИТП Госстрой СССР, 1986 г.
2. 3. ნამგალაძე. კანალიზაცია. პირველი ნაწილი. თბილისი: განათლება, 1981 წ.
3. გარემოს ეროვნული სააგენტოს წინასწარი შეფასება 2015 წლის 13–14 ივნისს მდ. ვერეს აუზში განვითარებული კატასტროფით გამოწვეული მდგომარეობის შესახებ. თბილისი, 2015 წ.
4. მდინარე ვერეს 2015 წლის 13 ივნისის წყალმოვარდნა. ADC Austrian Development Cooperation, CENN Caucasus Environmental NGO Network. თბილისი, 2015 წ.
5. Таблицы гидравлического расчета канализационных сетей и дюкеров по формуле акад. Н.Н. Павловского. М.: Стройиздат, 1974 г.

შაპ 628.81:697.3

01ტაპის გათბობის სისტემები ძველ ცივილიზაციებში

ო. ფურცელაძე, ნ. მეფარიშვილი, ი. დენისოვა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია ძველ ცივილიზაციებში არსებული იატაკის გათბობის სისტემები, მათი მონტაჟი და განვითარება როგორც უკროპაში, ასევე აზიის ქვეყნებში. აღწერილია კორეაში არსებული ძვ. წ. მე-3 საუკუნის ონდოლის ტიპის გათბობის სისტემა და საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ნაქალაქარ ძალისის პიპოკების სისტემა, რომელიც ას. წ. I-IV საუკუნეებით თარიღდება.

საკვანძო სიტყვები: თბილი იატაკი; ონდოლი; ძალისი; პიპოკები.

1. შესავალი

ადამიანის კომფორტული პირობები მნიშვნელოვანია მისი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისთვის. კომფორტის პირობების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორად მოწყობილი გათბობის სისტემებია. იატაკის გათბობა არის ცენტრალური გათბობის ფორმა, რომლის გამოყენებით შენობაში მყარდება კომფორტული მიკროკლიმატის პირობები. სათავსის შიგა პაერი თბება იატაკის საშუალებით, ქვემოდან ანუ სათბობი ხელსაწყოს როლს უშუალოდ თბილი იატაკი ასრულებს.

დღეს, ძირითადად წყლის ან ელექტროიატაკის გათბობის სისტემები გამოიყენება. ძველ ცივილიზაციებში თბერი ენერგიის გადასაცემად ანუ თბოშემცველად გაცხელებული პაერი გამოიყენებოდა. ეს სისტემები შენობებში ქმნიდა კომფორტულ მიკროკლიმატს და გავლენას არ ახდენდა ეკოლოგიაზე.


2. მირითადი ნაწილი

პირველყოფილი ადამიანი, გამოქვაბულების ეპოქაში, გასათბობად კოცონს იყენებდა. მოგვიანებით, ადამიანმა შეიტყო, რომ ქვას ჰქონდა სითბოს დაგროვების უნარი. მან ქვის ეს თვისება გათბობისთვის გამოიყენა. თბოტევადი მასალის გაცხვლება და ამ სითბოს გამოყენება უკვე წარმოადგენდა საინჟინრო სისტემას, რომელიც რამდენიმე ელემენტისგან შედგებოდა.

იატაკით გათბობა 6000 წლის წინ არსებობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ლაპლანდიაში აღმოჩენილი იყო იატაკით გათბობის სისტემები, თუმცა პრიმიტიული, მაგრამ საკმაოდ კარგად ასრულებდა თავის ფუნქციებს. სათავსში განთავსებული იყო ორმოები, რომლებშიც მიეწოდებოდა გამთბარი ჰაერი სპეციალური მიწისქვეშა არხებით.

ჩინეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. მე-11 საუკუნით დათარიღებული ნეოლითური პერიოდის სახლები, რომლებშიც იატაკზე განლაგებული საწოლი ქვები ღია ცეცხლით ზემოდან თბებოდა (ჰოუკანი). დაწოლის წინ ქვას წმენდნენ კოცონისგან დარჩენილი ფერფლისგან და ღამე თბებოდნენ ქვის მიერ გამოყოფილი სითბოთი.

მოგვიანებით, ძვ.წ. მე-3 საუკუნეში შეიქმნა თბილი იატაკ-საწოლის ტიპის სისტემა – კანგი. კერა განთავსდა ცალკე, ხოლო საკვამლე არხები – იატაკ-საწოლის ქვეშ. უფრო სრულყოფილ სისტემას, რომელიც მთელი იატაკის ათბობდა, დიკანგი ეწოდებოდა. იმავე პერიოდში მსგავსი სისტემები კორეაში გავრცელდა – ონდოლი.



ტრადიციული ონდოლის სისტემა შემდეგნაირად იყო ორგანიზებული: სითბოს წყაროს ღუმელი წარმოადგენდა. იგი განლაგებული იყო სამზარეულოში ან ოთახის გარე კედელში. ეწყობოდა ერთი ან რამდენიმე ღუმელი, გასათბობი ოთახების

რაოდენობის შესაბამისად. სამზარეულოს ღუმელზე მოთავსებული იყო რკინის ქვა-ბი, რომელშიც საკვებს ამზადებდნენ. საკვების მოსამზადებლად გამოყენებული სითბო ათბობდა სამზარეულოს მომიჯნე ოთახებსაც. სამზარეულო ეწყობოდა გა-სათბობ ოთახებზე ერთი მეტრით ქვემოთ, რაც უზრუნველყოფდა თბილი ჰაერისა და ბოლის იატაკის ქვეშ თავისუფალ ცირკულაციას. იატაკის ქვეშ განლაგებული იყო ჰორიზონტალური არხები, რომლებიც აკავშირებდა ღუმელს საკვამლე მილთან. საკვამლე მილი სახლის საპირისპირო მხარეს ან ცალკე, საკუთარ საძირკველზე იყო განლაგებული. ცხელი ჰაერი, იატაკის ქვეშ გასვლისას, ათბობდა ქვისა და თიხისგან მოწყობილ იატაკს. ონდოლის სისტემაში ორი პირობა უნდა ყოფილიყო დაცული, ერთი მხრივ, ცხელი ჰაერი დაუბრკოლებლად უნდა გასულიყო საკვამლე მილიდან, მეორე მხრივ, ცხელი ჰაერი და ბოლი რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაჩერებულიყო არხებსა და გვირაბებში, რათა მაქსიმალურად გაეთბო იატაკი. თუ დაცული იყო ორივე ეს პირობა, სისტემა ინარჩუნებდა საკმაოდ მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტს. ორი საათის განმავლობაში ღუმელში წვის შედეგად დაგროვილი სითბო სათავსს მთელი დამე ყოფნიდა.


იატაკი შემდეგნაირად ეწყობოდა: არხები გადახურული იყო 80–120 მმ ბრტყელი ქვის ფილებით. ღუმლის სიახლოეს, სადაც იატაკი მეტად თბებოდა, აწყობდნენ უფრო სქელ ქვებს, რათა თავიდან აეცილებინათ თბოდანაკარგები. ქვები დაფარული იყო ყვითელი თიხის ფენით. თიხას ზემოდან აკრავდნენ გაზეთილი, წყალგაუმტარი ქაღალდის ფენას, რომელიც მზადდებოდა თუთის ბოჭკოებისაგან. დაზეთვისთვის იყენებდნენ მცენარე პერილას წყალმედუგ ზეთს [5]. კანგისა და ონდოლის ტიპის გათბობის სისტემები დღესაც გამოიყენება ჩინეთსა და კორეაში.

ამავე პერიოდში, ძველ საბერძნეთში, დამოუკიდებლად ვითარდება გათბობის სისტემა – ჰიპოკაუსტი (*hypocaustum*, ბერძნ. *hypo-*ქვემოთ; *kaustos*-ცხელი) ანუ გათ-ბობა ქვემოდან.

ციცერონის მეგობარმა, იმ დროის ცნობილმა ინჟინერმა და ვაჭარმა, სერგიუს ორატამ (*Sergius Orata*) მოახდინა ჰიპოკაუსტის სისტემის მოდერნიზაცია. სერგიუს ორატა, დაინტერესდა რა მეოუგზეობით, შექმნა მსოფლიოში პირველი ხამანწერის ხელოვნური მოშენების ფერმა. ორატამ სწორად ამ ფერმის გასათბობად დახვეწა ჰიპოკაუსტის სისტემა.

ჰიპოკაუსტის სისტემის ძირითადი კომპონენტები იყო იატაკის დონის ქვემოთ განლაგებული შეშის ღუმელი და არხების სისტემა იატაკის ქვეშ და კედლებში.

დუმლით თბებოდა რამდენიმე სათავსი. გამომწვარი თიხისგან დამზადებული იატაკის ფილები ეყრდნობოდა ქვის ან თიხის მიღებისგან მოწყობილ საყრდენ სვეტებს. კედლებში გაყვანილი იყო არხები ღრუიანი მართკუთხა აგურის მეშვეობით. გაცხელებული ჰაერი ვრცელდებოდა იატაკის ქვემოთ სივრცეში, შემდეგ ადიოდა კედლის არხებში და შენობას ათბობდა.



გარდა არქეოლოგიური მტკიცებულებებისა, ჩვენამდე მოაღწია პიპოკაუსტის სისტემის ფუნქციონირების წერილობითმა აღწერამ, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. I საუკუნით. რომის იმპერატორების – იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის დროინდელმა რომაელმა ინჟინერმა მარკ ვიტრუვი პოლიომ (*Marcus Vitruvius Pollio*) შექმნა ტრაქტატი “ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ” (*De architectura libri decem*). ეს არის ერთადერთი ნაშრომი არქიტექტურაზე, რომელიც ანტიკური ხანიდან შემორჩა. მეხუთე წიგნში ვიტრუვი დეტალურად აღწერს აბანოების პიპოკაუსტის სისტემას, მის პროპორციებს, სამშენებლო მასალებსა და განლაგებას [3].

პიპოკაუსტის მშენებლობა მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს, ამიტომ ცენტრალური გათბობის ეს სისტემა ძირითადად იგებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, საზოგადოებრივ ცენტრებში – თერმებში. კერძო პიპოკაუსტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმპერიის საკმაოდ შეძლებული მოქალაქეებისთვის და ისინიც თავიანთ მდიდრულ სასახლეებში მხოლოდ ცალკეულ სათავსებს ათბობდნენ.

რომაელებმა პიპოკაუსტის სისტემა მთელი იმპერიის მასშტაბით გაავრცელეს. ყველაზე ფართო გამოყენება სისტემამ პოვა ჩრდილოეთის ცივ პროვინციებსა და მთის რეგიონებში, როგორიც იყო ბალკანეთი, ალპები და კავკასიის იბერია.

საქართველოს ტერიტორიაზე, მუხრანის ველზე, მცხეთიდან 20 კმ-ის დაშორებით, აღმოჩენილი იყო ანტიკური ხანის ნაქალაქარი – ძალისი. II საუკუნეში მოგვაწე ბერძენი გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაოსი თავის წიგნში “გეოგრაფიული სახელმძღვანელო” (*Geographike Hyphegesis*) იბერიის აღწერისას, სხვა ქალაქებთან ერთად, ძალისის ნაქალაქარსაც მოიხსენიებს. ნაქალაქარზე მოპოვებული ყველაზე ადრეული არქეოლოგიური მასალა თარიღდება ძვ.წ. II–I საუკუნეებით, ხოლო მთავარი ნაგებობები განეკუთვნება ახ.წ. I–IV საუკუნეებს.

აღმოჩენილია სასახლის ნაშთები, საზოგადოებრივი შენობები, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელები. განსაკუთრებით საინტერესოა II საუკუნით დათარიღებული რომაული ტიპის აბანოები – თერმები. აბანო შედგება სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ცხელი, თბილი და ცივი განყოფილებებისგან. იატაკი მოპირკეთებულია მოზაიკით. პედლები აგებულია გამომწვარი აგურისაგან. პედლებში დამონტაჟებულია თიხის მილები, რომლებშიც ცხელი ჰაერი ადის ჰიპოკაუსტიდან იატაკებში არხების გავლით და პედლებს ათბობს. ამ აბანოს მახლობლად აღმოჩენილია მეორე, უფრო დიდი ზომის საზოგადოებრივი დანიშნულების აბანო საცურაო აუზით, შადრევნითა და ჰიპოკაუსტით. ჰიპოკაუსტში განლაგებული იატაკის საყრდენი სვეტების რიგები სხვადასხვა ფორმის, ოთხეუთხა და მრგვალი აგურითაა აგებული. მრგვალ აგურს გარსშემოდენის მაღალი უნარი აქვს და, სავარაუდოდ, ცხელი ჰაერის მაღალი სიჩქარის შესანარჩუნებლად იყენებდნენ. ოთხეუთხა აგურის სვეტები ძირითადად თბილი აბანოს ჰიპოკაუსტში გვხვდება, სადაც თბოშემცველის სიჩქარე ნაკლები უნდა ყოფილიყო. სვეტები ზემოდან დაფარულია კერამიკული ფილებით და ტუფის გათლილი ქვებით, რომლებზეც დასხმულია ჰიდრავლიკური კირხსნარის 120–150 მმ სისქის იატაკის ფენა.

ძალისის ნაქალაქარის პიპოკაუბეტი



ლევან ჯაფოშვილის ფოტო

ყველაზე დიდ ნაგებობა ძალისში სასახლეა, რომლის ფართობი 2500 м^2 აღვმატება. მასში შედის 30-მდე სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ოთახი. ცენტრში მოთავსებულია ატრიუმი. შემორჩენილია დარბაზი და საძინებელი ოთახები. მეტად საინტერესოა ორგანულფილებიანი საპირფარეშო, საკუთარი წყალსადენითა და კანალიზაციით. სასახლეს პქონდა პიპოკაუსტის ტიპის ცენტრალური გათბობის სისტემა [1,2,6].

საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი პიპოკაუსტის გათბობის სისტემის მქონე აბანოა გათხრილი, მაგალითად, არმაზციხე-ბაგინეთის, არმაზხევის, ბიჭვინთის, შუხუთის, ნოქალაქევის და სხვა აბანოები.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ პიპოკაუსტის სისტემა დავიწყებას მიეცა. იგი ევროპაში, ესპანეთის გარდა, არსად დამკვიდრებულა. ესპანეთის კასტილიაში პიპოკაუსტის სისტემამ მცირე ცვლილება განიცადა – სახელწოდებით გლორია (gloria), რომელიც ძველ შენობებში დღესაც გვხვდება [4]. მაღალმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა და ეკონომიკურობამ განაპირობა გლორიის სისტემის გამოყენება ნაკლებეებიან რეგიონებში, სადაც საწვავად ჩალა და ნამჯა გამოიყენებოდა.

3. დასკვნა

იატაკით გათბობის სისტემა დღესაც არ კარგავს პოპულარობას. თანამედროვე საზოგადოებაში იგი ხელმისაწვდომია. ამ სისტემის მოდერნიზაცია არ შეჩერებულა. ინჟინერები მუშაობენ იატაკის გათბობის სისტემის სრულყოფაზე, რათა იგი კიდევ უფრო ხელმისაწვდომი, ეკონომიკურად მომგებიანი და უსაფრთხო გახდება.

ლიტერატურა

1. გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2000, გვ. 32-45.
2. ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია თბილისი: ისტ. და კულტ. ძეგლთა დაცვის საზ-ბა, 1995, გვ. 33-34; 41-43.
3. Витрувий. Десять книг об архитектуре / Пер. Ф. А. Петровского. Т. 5. (М.: Изд-во Всес. Академии архитектуры. Серия «Классики теории архитектуры», 1936), Глава X.
4. И. Сучков. Теплый пол в Древнем Риме, Greenbag, (Сентябрь 2014)
<http://greenbag.ru/teplyi-pol-v-drevnem-rime> (09.11.2015)
5. Robert Bean, Bjarne W. Olesen, Kwang Woo Kim, Arch.D, „History of Radiant Heating & Cooling Systems - Part 1 – Asia“, ASHRAE Journal, (January 2012), გვ.40-47.
<http://naturalhomes.org/img/kang.pdf> (12.11.2015)
6. Robert Bean, Bjarne W. Olesen, Kwang Woo Kim, Arch.D, „History of Radiant Heating & Cooling Systems-Part 2-Europe and North America“, ASHRAE Journal, (February 2010), 50-55.
http://www.healthyheating.com/History_of_Radiant_Heating_and_Cooling/history_of_radiant_heating_Europe_and_North_America.htm#.Vlij6F7Ue_o (15.11.2015)

УДК 697

ОСОБЕННОСТИ МИКРОКЛИМАТА ПРАВОСЛАВНЫХ ХРАМОВ

О.Г. Пурцеладзе, Н.М. Мепаришвили, И.А. Денисова

(Грузинский технический университет)

Резюме. В православных храмах главным фактором комфорта является микроклимат внутри помещения. Особенno остро проблемы с микроклиматом возникают во время церковных праздников, когда количество прихожан порой превышает расчетные значения. В случае неправильного расчета или устройства системы отопления и вентиляции в помещении храма, может повыситься температура и влажность. Высокая влажность может вызвать на внутренней поверхности наружной ограждающей конструкции образование водяных паров (конденсата). Водяные пары доставляют дискомфорт прихожанам, а также являются причиной порчи настенной живописи и других элементов убранства. В данной статье рассматриваются факторы, при которых возможно выпадение конденсата. Поднимается вопрос влияния правильного расчета сопротивления теплопередаче ограждающих конструкций для поддержания требуемых параметров микроклимата.

Ключевые слова: вентиляция храма; выпадение конденсата; температура внутренней поверхности; относительная влажность; точка росы.

1. ВВЕДЕНИЕ

При проектировании отопления, вентиляции и кондиционирования православных храмов, основной задачей является правильный расчет тепло- и воздухообмена для обеспечения требуемых параметров микроклимата во внутреннем помещении храма. Это довольно сложная задача, так как храмы являются уникальными архитектурными сооружениями с неординарной структурой внутреннего пространства. Следует учитывать неравномерность посещения храмов, простор между службами и разную степень заполняемости. При

реконструкции и строительстве новых храмов необходимо не только создать комфортные условия для прихожан, а также обеспечить сохранность внутреннего убранства храма, фресок, иконостасов и других элементов.

2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Микроклимат в здании зависит, прежде всего, от климатических условий, от архитектуры, теплофизических характеристик строительных материалов и от наличия или отсутствия систем искусственной климатизации. Для правильного выбора и настройки регулирующих элементов систем отопления, вентиляции и кондиционирования воздуха, тепловой баланс и воздухообмен следует рассчитывать при разной степени заполняемости храма прихожанами, с учетом разных тепло- и влагоизбыток в центральной части храма. Следует тщательно рассчитывать переходный и зимний период, так как в это время наиболее вероятно выпадение конденсата. Важнейшей задачей является правильный теплотехнический расчет наружных ограждающих конструкций, стен, сводов и барабана. В барабане главы, как правило, толщина стен уменьшается, что свидетельствует о высокой теплопроводности конструкции и низкой температуре внутренней поверхности в переходный и зимний период. Необходимо предусмотреть мероприятия по дополнительной теплоизоляции конструкций стен барабана и дополнительному обогреву верхней зоны храма.

Выпадение конденсата часто происходит в весеннее время, когда храм проветривают в теплую погоду, при этом температура стен храма ниже температуры наружного воздуха. Поэтому надо проводить регулируемые проветривания. Проветривать можно только в том случае, если точка росы наружного воздуха ниже температуры внутренней поверхности стены. Современные термогигрометры позволяют сразу определять температуру точки росы, без использования мокрого термометра и Id-диаграммы.

Важную роль играет выбор строительных материалов. Например, для обеспечения паропроницаемости стен из кирпичной кладки вместо цементно-песчаного раствора рекомендовано использовать известково-песчаную смесь, которая в отличие от цементного раствора обладает меньшей теплопроводностью и способствует быстрому освобождению внутренних пор стен от застаивающегося в них влажного воздуха. Не рекомендуется наружную поверхность ограждающих конструкций покрывать пароизоляционными материалами, облицовывать керамической плиткой или оштукатуривать цементно-песчаной штукатуркой.

Необходимо использовать двойное или тройное остекление. На стадии проектирования здания важно определить рациональное расположение оконных блоков с целью исключения возможности выпадения конденсата или промерзания конструкции оконных откосов. Не рекомендуется устанавливать современные герметичные пластиковые и металлические оконные переплеты со стеклопакетами, во избежание возникновения компактных воздушных потоков при открывании наружных дверей, что может вызвать затухание свечей и раскачивание лампад. В случае установки пластиковых или металлических оконных переплетов со стеклопакетами, обязательно установить на них воздушные клапаны. При наличии раздельных оконных переплетов, для защиты от проникновения влаги в межстекольное пространство, следует уплотнить внутренний переплет. При возможном выпадении конденсата на поверхностях оконных стекол необходимо предусмотреть мероприятия по его сбору и отведению.

По периметру здания необходимо устроить отмостку с уклоном в направлении от здания храма, для защиты фундамента от дождевых вод. Подземную часть цокольной кладки необходимо утеплять не менее глубины промерзания грунта района строительства.

При максимальном заполнении храма прихожанами, вследствие тепло- и влаговыделений от людей и зажженных свечей, в центральной части храма происходит повышение температуры и влажности внутреннего воздуха. Воздух, по мере удаления от рабочей зоны, поднимаясь наверх, нагревается. Большая часть воздуха удаляется через вытяжные отверстия, но в центральной части храма поток нагретого воздуха достигает барабана и купола храма. Обычно стены барабана имеют меньшую толщину, чем несущие конструкции. Это делается с целью облегчения нагрузки. Однако за счет этого снижается сопротивление теплопередаче стен главы барабана. То же можно сказать про купол. Так как температура внутри помещения достигает максимальных пределов на уровне конструкции барабана, необходимо производить расчет сопротивления ограждающих конструкций с учетом температур в данной зоне. Рекомендуется дополнительная теплоизоляция купола и стен барабана во избежание выпадения конденсата.

Конденсат крайне негативно влияет на конструкции храма. На увлажненных ограждающих конструкциях возможно появление плесневых грибов. В случае замерзания переувлажненных ограждающих конструкций, возникает объемное напряжение, что вызывает разрушение материала.

Исходя из вышесказанного, первостепенной задачей при проектировании отопления, вентиляции и кондиционирования является недопущение переувлажнения конструкции и обеспечение условий для невыпадения конденсата.

Образование конденсата на ограждающих конструкциях обусловлено температурой воздуха и ограждающих конструкций, относительной влажностью воздуха в помещении и температурой точки росы при данных условиях. Поднимаясь из рабочей зоны воздух нагревается, при этом ограждающие конструкции нагреваются гораздо медленнее, чем воздух.

В СП 50.13330.2012 [1] нормируемое значение приведенного сопротивления теплопередаче ограждающей конструкции, $R_o^{\text{норм}}$, ($\text{м}^2 \cdot ^\circ\text{C}$)/Вт следует определять по формуле

$$R_o^{\text{норм}} = R_o^{\text{тр}} \cdot m_p , \quad (1)$$

где $R_o^{\text{тр}}$ - базовое значение требуемого сопротивления теплопередаче ограждающей конструкции, $\text{м}^2 \cdot ^\circ\text{C}/\text{Вт}$, следует принимать в зависимости от градусо-суток отопительного периода, (ГСОП), $^\circ\text{C}\cdot\text{сут}/\text{год}$, региона строительства;

m_p - коэффициент, учитывающий особенности региона строительства, принимается равным 1, [1]

$$\text{ГОСП} = (t_{\text{в}} - t_{\text{от}})Z_{\text{от}}, \quad (2)$$

где $t_{\text{от}}$ - средняя температура наружного воздуха, $^\circ\text{C}$;

$Z_{\text{от}}$ - продолжительность, сут/год, отопительного периода, принимаемая по своду правил для периода со среднесуточной температурой наружного воздуха не более $8 \, ^\circ\text{C}$;

$t_{\text{в}}$ - расчетная температура внутреннего воздуха здания, $^\circ\text{C}$, [1].

$$R_o^{\text{тр}} = a\text{ГОСП} + b, \quad (3)$$

где a , b - коэффициенты, значения которых следует принимать по данным таблицы для соответствующих групп зданий (таблица 3. [1]).

В Стандарт АВОК-2-2004 [2] приведенное сопротивление теплопередаче основных ограждающих конструкций строящихся и реконструируемых храмов рекомендуют принимать не менее значений, определяемых по формуле, которая не учитывает продолжительность отопительного периода:

$$R_0^{\text{тр}} = \frac{n(t_{\text{в}} - t_{\text{н}})}{\Delta t_{\text{н}} \cdot \alpha_{\text{в}}}, \quad (4)$$

где n -коэффициент, принимаемый в зависимости от положения наружной поверхности ограждающих конструкций по отношению к наружному воздуху (таблица 6 [1]);

$t_{\text{в}}$ -расчетная температура внутреннего воздуха, $^\circ\text{C}$;

$t_{\text{н}}$ -расчетная температура наружного воздуха, $^\circ\text{C}$;

Δt_h -нормируемый температурный перепад между температурой внутреннего воздуха t_b и температурой внутренней поверхности ограждающей конструкции, $^{\circ}\text{C}$, (табл. 5 [1]);

α_b -коэффициент теплоотдачи внутренней поверхности ограждающих конструкций, $\text{Вт}/(\text{м}^2 \cdot ^{\circ}\text{C})$ (таблица 4 [1]).

Температура уходящего воздуха рассчитывается по формуле

$$t_y = t_b + grad\ t(H - h_{p.z.}), \quad (5)$$

где t_y - температура уходящего воздуха, $^{\circ}\text{C}$;

t_b -температура воздуха в рабочей зоне, $^{\circ}\text{C}$;

$grad\ t$ -градиент линейного уравнения температуры над рабочей зоной, до уровня вытяжных отверстий, в зависимости от теплового напряжения помещения, $^{\circ}\text{C}/\text{м}$; [3];

H - высота помещения (вытяжных отверстий), м;

$h_{p.z.}$ - высота рабочей зоны, м [3];

Температуру внутренней поверхности однородной, однослойной или многослойной ограждающей конструкции с однородными слоями следует определять по формуле

$$t_{b.p.} = t_b - \frac{(t_b - t_h)}{R_o \cdot \alpha_b}, \quad (6)$$

где $t_{b.p.}$ - температура внутренней поверхности ограждающей конструкции, $^{\circ}\text{C}$;

t_b , t_h , R_o и α_b - то же что в (1).[4]

Рассмотрим пример расчета температурных параметров воздуха и ограждающих конструкций храма, строящегося в Московской области в зимний период, при максимальном заполнении прихожанами: площадь центральной зоны храма $10\text{м} \times 10\text{м}=100\text{ м}^2$; высота до вытяжных отверстий (окон) $H=7$ м, температура наружного воздуха $t_h=-28\text{ }^{\circ}\text{C}$, расчетная температура внутреннего воздуха, $t_b=14\text{ }^{\circ}\text{C}$ (таблица 1 [2]); средняя температура воздуха, периода со сп.сут.темп. воздуха $\leq 8^{\circ}\text{C}$, $t_{\text{от.пер.}}=-3,1^{\circ}\text{C}$ [5]; продолжительность периода со сп.сут.темп. воздуха $\leq 8^{\circ}\text{C}$: $Z_{\text{от.пер.}}=214$ сут. [5]; $\alpha_b=8,7\text{ Вт}/(\text{м}^2 \cdot ^{\circ}\text{C})$; $n=1$; $\Delta t_h=4,5\text{ }^{\circ}\text{C}$ [1]; $h_{p.z.}=2\text{м}$ [3]. Максимальное количество прихожан - на одного прихожанина $0,25\text{м}^2$ площади, $100/0,25=400$ человек [6].

Проведем расчет по СП 50.13330.2012.

По данным нашего примера ГОСП= $((14-(-3,1)) \cdot 214 = 3659\text{ }^{\circ}\text{C} \cdot \text{сут.}) a=0,0003, b=1,2$ [1].

Требуемое сопротивление теплопередаче стен:

$$R_{1_o}^{tp}=0,0003 \cdot 3659 + 1,2 = 2,297 (\text{м}^2 \cdot ^{\circ}\text{C})/\text{Вт.}$$

Минимальное приведенное сопротивление теплопередаче по АБОК-2-2004 равняется:

$$R_{2_0}^{tp} = \frac{1((14-(-28)))}{4,5 \cdot 8,7} = 1,073 (\text{м}^2 \cdot ^{\circ}\text{C})/\text{Вт.}$$

Температура внутренней поверхности ограждающей конструкции:

$$t_{1\text{вп}} = 14 - \frac{14 - (-28)}{2,297 \cdot 8,7} = 11,59; \text{ (По СП 50.13330.2012)}$$

$$t_{2\text{вп}} = 14 - \frac{14 - (-28)}{1,073 \cdot 8,7} = 9,5^{\circ}\text{C}; \text{ (По АВОК-2-2004)}$$

Температура уходящего воздуха в обоих случаях будет равняться ($\text{grad } t = 0,3^{\circ}\text{C/m}$, [3]):

$$t_y = 14 + 0,3(7 - 2) = 15,5^{\circ}\text{C}.$$

В верхней зоне храма температура внутреннего воздуха поднимается до $15,5^{\circ}\text{C}$, так как ограждающие конструкции нагреваются гораздо медленнее воздуха, за температуру ограждающей конструкции в верхней зоне храма можем принять $t_{1\text{вп}}$ и $t_{2\text{вп}}$.

Температурный перепад внутреннего воздуха с ограждающей конструкцией будет равняться:

$$\Delta t_1 = 15,5 - 11,59 = 3,91^{\circ}\text{C} < \Delta t_h = 4,5^{\circ}\text{C}, \text{ удовлетворяет нормируемые требования;}$$

$$\Delta t_2 = 15,5 - 9,5 = 6^{\circ}\text{C} > \Delta t_h = 4,5^{\circ}\text{C}, \text{ не удовлетворяет нормируемые требования.}$$

Приведенное сопротивление теплопередаче $R1_o^{tp}$ удовлетворяет требованиям нормируемого температурного перепада. И конденсат на стенах образовываться не будет.

Во втором расчете, из-за низкого приведенного сопротивления теплопередаче $R2_o$ возможно выпадение конденсата на поверхности стены выше рабочей зоны.

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

1. Расчет приведенного сопротивления теплопередаче основных ограждающих конструкций, по рекомендуемой формуле (4) АВОК-2-2004, может привести к выпадению конденсата на ограждающих конструкциях. Нормируемый перепад достигается при $H \leq h_{p.z.}$. При значениях $H > h_{p.z.}$ температурный перепад внутреннего воздуха больше нормируемого перепада Δt_h и создаются температурные условия для выпадения конденсата.

2. В СП 50.13330.2012 формула (4) дается для расчета значения сопротивления теплопередаче стен, в случаях реконструкции зданий, для которых по архитектурным или историческим причинам невозможно утепление стен. В таких случаях, во избежание появления конденсата на стенах, надо в центральной части храма увеличить воздухообмен, что ведет к значительным энергозатратам.

3. Для достижения допустимых параметров микроклимата в центральной зоне православных храмов, при расчете ограждающих конструкций, вместо АВОК-2-2004, целесооб-

разно пользоваться рекомендациями СП 50.13330.2012 с учетом температур воздуха на разной высоте помещения. Это обеспечит комфортное пребывание прихожан в храме во время проведения праздничных служб и обеспечит сохранность внутреннего убранства храма, фресок, иконостасов и других элементов.

Авторы выражают особую благодарность за содействие в создании статьи преподавателю МАМИ к.т.н. Синицыну Валерию Ивановичу и начальнику вентиляционного бюро АО «ЗАВОД «КОМПОНЕНТ» Христофоровой Ирине Геннадьевне.

ЛИТЕРАТУРА

1. СП 50.13330.2012. Тепловая защита зданий. Актуализированная редакция СНиП 23-02-2003.
2. Стандарт АВОК-2-2004. Храмы православные. Отопление, вентиляция, кондиционирование воздуха.
3. Краснов Ю.С. Рекомендации по проектированию для производственных и общественных зданий.
4. СП 23-101-2004. Проектирование тепловой защиты зданий. Актуализированная редакция СНиП 23-02-2003.
5. СП131.13330.2012. Строительная климатология.Актуализированная редакция СНиП 23-01-99.
6. МДС 31-9.2003 Православные храмы. Том 2. Православные храмы и комплексы. Москва, 2003.
7. СП 60.13330.2012. Отопление, вентиляция и кондиционирование воздуха. Актуализированная редакция СНиП 41-01-2003.

UDC 628.16

ABOUT SIMULATION MODELLING OF WATER PURIFICATION PROCESS

G. Soselia, A. Davitashvili, L. Klimiashvili, N. Soselia

(Georgian Technical University)

Abstract: *On the basis of the theory of general system analysis, complex discrete process of water treatment has been studied and classified. The integral conceptual scheme of investigation and simulation of the complex water treatment process based on the principles of the general system approach has been introduced.*

Key words: *water treatment, water treatment plant, simulation.*

1. INTRODUCTION

In the development of a simulation model, first of all, must be chosen a conceptual framework for describing the simulated water treatment system. This scheme should be based on a specific methodological approach, in which described the functional relationship of water purification systems [1]. If imagine that the water treatment system is a complex set of interconnected buildings (chemical plant, mixers, settling tanks - illuminators, filters, chlorinators), it's clear that water treatment is complex ongoing process.

At the same time, in this complex processes presence of the operator (human) is unavoidable as a system chain. It causes a system of wide methodological approach used for the survey of water treatment systems.

2. THE BODY OF THE ARTICLE

